

ლექსიკა

მოსწავლე _____

წაკითხე თითოეული წინადადება. ყოველი წინადადების ქვეშ მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი (ა, ბ, გ).

შერჩეე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

პირველი მაგალითი:

მხდელი კურდღელი დათვის დანახვისთანავე ბუჩქებში მიიმალა. ამ წინადადებაში სიტყვა **მხდელი** ნიშნავს:

- ა) მორცხეს ბ) მშიშარას გ) სწრაფს

უნდა შემოხაზო პასუხი **ბ) მშიშარას**, რადგანაც ამ წინადადებაში სიტყვა მხდელი მშიშარას ნიშნავს.

მეორე მაგალითი:

ფუტკარი ზუზუნებს, ცხენი _____.

- ა) ყროყინებს ბ) ჭიკჭიკებს გ) ჭიხვინებს

უნდა შემოხაზო პასუხი **გ) ჭიხვინებს**.

გამოტოვებული სიტყვა წინადადებაში არ ჩაწერო, მხოლოდ შემოხაზე შერჩეული სიტყვა.

1. მეფის **მოციქულებმა** მშვიდობით გადაიარეს რაჭის მთები.

აქ სიტყვა **მოციქულები** ნიშნავს:

- ა) ვეზირებს. ბ) მრჩევლებს. გ) შუამავლებს.

2. დიდებას **ამაგი** ყოველთვის ახსოვდათ შვილიშვილებს. აქ სიტყვა **ამაგი** ნიშნავს:

- ა) რჩევას. ბ) სიტბოს. გ) ღვაწლს.

3. ქალაქის ახალ მოედანს უნაკლო ქანდაკება ამშვენებს. აქ სიტყვა უნაკლო ნიშნავს:
- ა) მაღალს. ბ) სრულყოფილს. გ) უცნაურს.
4. რაზმების მეთაურთა იდუმალი შეხვედრა ღამით შედგა. აქ სიტყვა იდუმალი ნიშნავს:
- ა) მნიშვნელოვანს. ბ) საგანგებოს. გ) საიდუმლოს.
5. მოხუცი ეზოში იჯდა და სიამოვნებდა იმერეთის ნამიანი ჰაერი. აქ სიტყვა ნამიანი ნიშნავს:
- ა) თბილს. ბ) ნოტიოს. გ) ცხელს.
6. რატი იმდენს ელაქუცა ბებოს, რომ მაინც გამოსტყუა ჩურჩხელა. აქ სიტყვა ელაქუცა ნიშნავს:
- ა) ეფერა. ბ) ეწუწუნა. გ) ეხვეწა.
7. მეცხოვნიების უყურადღებობამ მტერი წააქეზა. აქ სიტყვა წააქეზა ნიშნავს:
- ა) გააოცა. ბ) მოატყუა. გ) შეაგულიანა.
8. – ეს პატარა მდინარე როგორ ვერ უნდა გადავლახოთ! - ომახიანად შეუძახა ირაკლიმ მეგობრებს. აქ სიტყვა ომახიანად ნიშნავს:
- ა) მხიარულად. ბ) რიხიანად. გ) ხალისით.
9. ღორღიანი შეიძლება იყოს:
- ა) გზა. ბ) კედელი. გ) წყალი.
10. სადმე მოხერხებულად მოთავსება არის:
- ა) დაბუდება. ბ) მოკალათება. გ) ჩასახლება.
11. დაასრულე წინადადება:
ჩირის გასაკეთებლად ბებომ ქლიავს გამოაცალა
- ა) თესლი. ბ) კურკა. გ) წიპწა.
12. შეარჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში:
გლეხებმა მოსავალი დროულად აიღეს და დააბინავეს.
- ა) პროდუქტი. ბ) ჭირნახული. გ) ხორაგი.
13. შეარჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში: ყოველ დილით ნიკო ჯანმრთელობის მიზნით ტანს ცივი წყლით იბანს.
- ა) გაკაჟების. ბ) გამაგრების. გ) გამყარების.

14. გლეხმა ზლომად მოაგროვა ფიჩხი და ილაჯგაწყვეტილი ჩამოჰდა კუნძზე.
რომელია ხაზგასმული სიტყვის სინონიმი?
ა) დაღლილი. ბ) კმაყოფილი. გ) მოწყენილი.
15. რას ნიშნავს ფრაზეოლოგიური გამოთქმა თვალი მოავლო?
ა) მიმოიხედა. ბ) მოიკითხა. გ) მოისაკლისა.
16. რას ნიშნავს ფრაზეოლოგიური გამოთქმა ყური მოჰკრა?
ა) გულისყურით მოისმინა.
ბ) ყველაფერი გაარკვია.
გ) შემთხვევით გაიგონა.
17. რატი ზებოს ყველაფერზე კვერს უკრავდა და გულში კი ეცინებოდა.
კვერს უკრავდა, ანუ:
ა) ეალერსებოდა. ბ) ეთანხმებოდა. გ) ეხმარებოდა.
18. საქათმესთან ჩასაფრებულ მელას თვალში მოუვიდა მსუქანი დედალი.
თვალში მოუვიდა, ანუ:
ა) დაესიზმრა. ბ) მოეჩვენა. გ) მოეწონა.